| გაყიდვა                                                                                                                                  |                                                                                                            |                                                           |                                        |                                  |                                                                |                                                       |                                      |                   |                             |
| საწარმოთა გაერთიანება                                                                                                                    |                                                                                                            |                                                           |                                        |                                  |                                                                |                                                       |                                      |                   |                             |
| მირითადი სამუალების გადაფასების რეზერვის რეალიზება                                                                                       |                                                                                                            |                                                           |                                        |                                  |                                                                |                                                       |                                      |                   |                             |
| დივიდენდის გამოცხადება                                                                                                                   |                                                                                                            |                                                           |                                        |                                  |                                                                |                                                       | (5,379,463)                          |                   | (5,379,463)                 |
| სხვა                                                                                                                                     |                                                                                                            |                                                           |                                        |                                  |                                                                |                                                       |                                      |                   |                             |
| <b>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის 31.12.2021</b>                                                                          | 321,003                                                                                                    | -                                                         | -                                      | -                                | -                                                              | -                                                     | 13,849,793                           |                   | 14,170,796                  |

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

კაპიტალის ცვლილება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                                                                                                  | საბჭო კაპიტალი<br>(მშპ-ის შემოსევები<br>„კაპიტალი“<br>კოორპირების<br>შემოსევები საბჭო<br>კაპიტალი) | დამატებითი<br>შეგროვებული<br>კაპიტალი<br>(შრომითი<br>სხაბუთი) | გამოსაღები<br>სა<br>საქონლო<br>ფონდი | წლიური<br>გადასახადების<br>რეზერვი | რეალიზაციის<br>ფასების<br>კავშირებით<br>გადასახადების<br>რეზერვი | ძირითადი<br>სამუდამური<br>რეზერვი | კუმულირებული<br>გადასახადების<br>რეზერვი | სხვა<br>რეზერვები | ზღვრული<br>კაპიტალი |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------|--------------------------------------|------------------------------------|------------------------------------------------------------------|-----------------------------------|------------------------------------------|-------------------|---------------------|
| ადრე წარმოდგენილი საბჭო წინა საანგარიშგებო პერიოდის<br>საწყისი თარიღისთვის                                                       | 321,003                                                                                            |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   | 20,245,500                               |                   | 20,566,503          |
| ახალი ან განახლებული სპეციალური მდებარეობები                                                                                     |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| გამოსაღები წლიური შემოსევები კვლევის<br>დაკომპლექტირებული საბჭო წინა საანგარიშგებო პერიოდის<br>საწყისი თარიღისთვის               | 321,003                                                                                            | -                                                             | -                                    | -                                  | -                                                                | -                                 | 20,245,500                               | -                 | 20,566,503          |
| მოგება / (ზარალი)                                                                                                                |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   | 1,823,091                                |                   | 1,823,091           |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                                 |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   |                     |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                              | -                                                                                                  | -                                                             | -                                    | -                                  | -                                                                | -                                 | 1,823,091                                |                   | 1,823,091           |
| ახალი აქციების გამოშვება (მშპ-ის შემოსევები „კაპიტალის გზით“,<br>კოორპირების შემოსევები საბჭო კაპიტალის გზით)                    |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| წლიური გადამხდის საფუძველზე გროვებული საბჭო კაპიტალი<br>(მშპ-ის შემოსევები „კაპიტალი“, კოორპირების შემოსევები საბჭო<br>კაპიტალი) |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| წლიური გადამხდა                                                                                                                  |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| საქონლო აქციების                                                                                                                 |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| შეგროვება                                                                                                                        |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| გადასახდა                                                                                                                        |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| საბჭო წინა პერიოდისთვის                                                                                                          |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| ძირითადი საშუალებების გადასახადების რეზერვის რეალიზაცია                                                                          |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| ფილიალური გამოყენება                                                                                                             |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   | (2,718,140)                              |                   | (2,718,140)         |
| სხვა                                                                                                                             |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| საბჭო წინა საანგარიშგებო პერიოდის წილი თარიღისთვის                                                                               | 321,003                                                                                            | -                                                             | -                                    | -                                  | -                                                                | -                                 | 19,290,471                               | -                 | 19,671,474          |
| მოგება / (ზარალი)                                                                                                                |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   | (121,215)                                |                   |                     |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                                 |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   |                     |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                              | -                                                                                                  | -                                                             | -                                    | -                                  | -                                                                | -                                 | (121,215)                                |                   | (121,215)           |
| ახალი აქციების გამოშვება (მშპ-ის შემოსევები „კაპიტალის გზით“,<br>კოორპირების შემოსევები საბჭო კაპიტალის გზით)                    |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| წლიური გადამხდის საფუძველზე გროვებული საბჭო კაპიტალი<br>(მშპ-ის შემოსევები „კაპიტალი“, კოორპირების შემოსევები საბჭო<br>კაპიტალი) |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| წლიური გადამხდა                                                                                                                  |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| საქონლო აქციების                                                                                                                 |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| შეგროვება                                                                                                                        |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| გადასახდა                                                                                                                        |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| საბჭო წინა პერიოდისთვის                                                                                                          |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| ძირითადი საშუალებების გადასახადების რეზერვის რეალიზაცია                                                                          |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| ფილიალური გამოყენება                                                                                                             |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   | (8,370,460)                              |                   | (8,370,460)         |
| სხვა                                                                                                                             |                                                                                                    |                                                               |                                      |                                    |                                                                  |                                   |                                          |                   | -                   |
| საბჭო საანგარიშგებო პერიოდის წილი თარიღისთვის 21.12.2021                                                                         | 321,003                                                                                            | -                                                             | -                                    | -                                  | -                                                                | -                                 | 10,848,795                               | -                 | 14,170,798          |

დირექტორი:




მთ. მუდამდებელი



## ზოგადი ინფორმაცია

შპს „საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტი“ ს/კ 204986195 (შემდეგ - საზოგადოება) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2002 წლის 6 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საზოგადოება დარეგისტრირებულია თბილისი საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204986195. 2003 წელს მოხდა საზოგადოების რეორგანიზაცია, რეორგანიზაციის შედეგად მოხდა შერწყმა შპს „საქსახპროექტი“-თან ს/კ 211326894.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვლევაძიებო-საპროექტო სამუშაოებით მომსახურეობა, ბურღვითი სამუშაოები და ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობა.

საზოგადოების კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.#13.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საზოგადოების პარტნიორები არიან;

დავით ტალიაშვილი 3/5 01026002102 -----59%

ტალი 3/5 01026003345 -----25%

ტელეფონი 3/5 01012018007-----8%

ვლადიმერ ჯიქია 3/5 01024016706-----8%

რევაზ ჩიქოვანი

საზოგადოების დირექტორია ტალი ტალიაშვილი.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 321003 ლარს.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა 68 ადამიანი.

### **მომზადების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს.

კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია

### **განგარიშების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელთა ღირებულებაც განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირებით.

### **ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის გაცხადებული.

### **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა უწყვეტობის პრინციპი**

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

### ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

სამეურნეო ოპერაციების შეფასებისას გამოყენებულია პირვანდელი ღირებულებით შეფასების მეთოდი.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების

რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის—ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ

მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს. ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

### **ფინანსური აქტივები**

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

### **ფინანსური ინსტრუმენტები დისკონტირებული ღირებულებით**

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. ხელმძღვანელობის შეფასების შედეგად, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვარდება ზემოთ ხსენებული დონეების მესამე დონის განსაზღვრებაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსური ინსტრუმენტები საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის დისკონტირებულ ღირებულებას. საოპერაციო ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შესყიდვებთან, გამოშვებასთან ან ფინანსური ინსტრუმენტები გაყიდვასთან. დამატებითი ხარჯი არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ გარიგება არ მომხდარა. დამატებითი ხარჯი მოიცავს საფასურსა და საკომისიოს რომელიც არის გადახდილი აგენტებისთვის.

## ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

*საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი*

|                               | <i>აშშ დოლარი</i> | <i>ევრო</i>   |
|-------------------------------|-------------------|---------------|
| <i>2021 წლის 31 დეკემბერი</i> | <i>3.0976</i>     | <i>3.5040</i> |
| <i>2020 წლის 31 დეკემბერი</i> | <i>3.2766</i>     | <i>4.0233</i> |

კომპანიის შედეგები და ფინანსური პოზიციას აანგარიშებო ვალუტაში კონვერტირდება შემდეგნაირად: აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსებით; კომპანიის მიერ განხორციელებული ოპერაციები უნდა აღირიცხოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, ოპერაციის თარიღისთვის, თუ ოპერაციის ვალუტა განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (ლარი); კაპიტალის კომპონენტები აღირიცხება ისტორიული კურსებით; და კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში

### **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.**

ფინანსური აქტივებს აქვს შემდეგი კატეგორიები: (ა) სესხები და დებიტორული მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, (გ) ფინანსური აქტივები რომლების ინახება ვადის გასვლამდე და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით დაფიქსირებული მოგებასა ან ზარალში.

### **ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივი ფინანსური ვალდებულების გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეთესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

### **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს

ვადა გასდის ან

ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულადი სახსრების

საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

### **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია, სავაჭრო

და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი,

რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

### **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა**

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

### **ძირითადი საშუალებები**

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.

თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

(ა)მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე.

(ბ)ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ)აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასების ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

### **დაუმთავრებელი მშენებლობა.**

დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

### **ცვეთა.**

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდით, აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

## ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

*ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:*

| ძირითადი საშუალების<br>ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|------------------------------|--------------------------------------|
| შენობები                     | 30 წელი                              |
| მანქანა დანადგარები          | 10-15 წელი                           |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი   | 7-10 წელი                            |
| კომპიუტერული ტექნიკა         | 5-7 წელი                             |
| ავტომობილები                 | 10 წელი                              |

### არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები და სამუშაო კომპიუტერული პროგრამები. არამატერიალური აქტივები ითავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის

მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. უპროცენტო მოკლევადიანი მოთხოვნები აისახება ნომინალური ღირებულებით. აქტივის გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, შეფასებული ამოუღებელი თანხების შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარებული ანარიცხები განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

### **საექვო ვალების რეზერვი.**

კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას, იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები.

### **მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს,

გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

### **აქტივების გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც სასა-ქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ

აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

### **გადახდილი ავანსები**

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული.

აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

### **ამონაგების აღიარება**

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც მომსახურება გაეწევა დამკვეთს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

### **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

### **მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები**

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

### **მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები**

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების დავალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ. ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება

### **მარაგებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შეფასებები**

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ ყველაზე საიმედო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ამ მარაგების მომავალ სარეალიზაციო ღირებულებაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს გაყიდვების ბაზარზე არსებულმა მდგომარეობამ, რამაც შესაძლოა მომავალი გასაყიდი ფასების შემცირება გამოიწვიოს.

### **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ

მომველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**სასამართლო დავები** კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

### **ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის**

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

### **საგადასახადო კანონმდებლობა.**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

## გადასახადები

IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები ფასიკ 23 “გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ” (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზე უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შემოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის

ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამკომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

დივიდენდები აღიარებულია კაპიტალში, როგორც ამ პერიოდის განმავლობაში შემცირება, რომელშიც მოხდა მათი გამოცხადება. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად ხდება მათი გამჟღავნება.

**პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები, სამართლებრივი პროცედურები.**

პერიოდული და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე. საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში. საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს.

საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად. სახელფასო განაცემები ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## კაპიტალი

კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით. კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

### მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით აღუდგენადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

მიღებული ავანსები –ავანსად მიღებული თანხები შემოსავლად არ აღირიცხება

შესაბამისი პროდუქტის მიწოდებამდე და მომსახურების გაწევამდე

### ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს: გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

-კანონმდებლობიდან; ან

-სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამპასუხისმგებლობებს. ახალი დაგადასინჯული IFRS სტანდარტები, და ინტერპრეტაციების მიღება ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება.

შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა).

მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად. 2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები: • წაგებიანი

ხელშეკრულებები-ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები); ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები); ფასსტანდარტების წლიურიგაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1,ფასს 9,ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3)

**სახელშეკრულებო ვალდებულებები.** თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან კომპანიას უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, ასეთ ხელშეკრულებებს საწარმო წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ ორი მოვლენიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

### **ფინანსური რისკის მართვა**

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

## **2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები -

კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე.

ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

**გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები.** კომპანიას არ გააჩნდა მატერიალური ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**გეოგრაფიული რისკი.** კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში და მისი ბიზნეს გეგმები კრიტიკულად არის დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველოაგრძელებს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების დემონსტრირებას. როგორც ასეთი, კომპანიაზე ზეგავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით ბიზნესის ან სამართლებრივი გარემოს გაუარესება.

**სასამართლო წარმოება.**

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო განხილვის პროცესში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, ადგილი არ ექნება რაიმე არსებითი დაუფარავი ზარალის წარმოშობას და, შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა გათვალისწინებული რაიმე რეზერვი.

**საოპერაციო გარემო** - განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, გაცილებით განიცდის სხვადასხვა რისკების ზეგავლენას, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ და იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და დებულებები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, კვლავაც სწრაფად განიცდის ევოლუციას საგადასახადო და მარეგულირებელ ჩარჩოებში, რომლებიც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით წარმოჩინდება. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო მიმართულებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალური და ფულადი პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად. წინა წლის მანძილზე საქართველოში განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მეტწილად უკავშირდება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ 2021, 2020 და 2019 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო

ცვლილებებმა გზა გაკვალა, კიდევ უფრო მეტის მოლოდინი უნდა გვქონდეს, რადგანაც ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად საქართველოს სამოქმედო გეგმა აგრძელებს განვითარებას.

## ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კომპანიის მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

და კომპანიის ფუნქციონირებადობას საფრთხე არ ემუქრება.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

### ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კომპანიის მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია, და კომპანიის ფუნქციონირებადობას საფრთხე არ ემუქრება.

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:

## მმართველობითი ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი”

ხელმძღვანელის თანამდებობა და, სახელი, გვარი: დირექტორი ტალი ტალიაშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი: 204986195

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა 13;

ელექტრონული მისამართი: info@transproject.ge

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები:

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი” წარმოადგენს შპს საქსახგზაპროექტის” უფლებამონაწილეს, რომლის არსებობის ისტორია 1952 წლიდან იწყება.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტის” ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის საპროექტო სამუშაოებს.

ინსტიტუტი წარმატებით უზრუნველყოფს საავტომობილო გზების და მასზე განლაგებული ყველა საინჟინრო და ხელოვნური ნაგებობის მშენებლობის, მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაციების განხორციელებას.

ინსტიტუტი აღჭურვილია სავსე ტოპოგრაფიული და საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო თანამედროვე ინსტრუმენტებით, სადაზვერვო და საბურღი მანქანებით და მოწყობილობებით. ყველა საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესრულებას ინსტიტუტი ახორციელებს ავტომატიზირებული სისტემებით, ბოლო თაობის კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინსტიტუტში დაკავებულის საგზაო დარგის, ხელოვნური ნაგებობების, მოძრაობის უსაფრთხოების, მშენებლობის ორგანიზაციის, ჰიდროლოგიის, საინჟინრო გეოლოგიის და გეოდეზიის, სახარჯთაღრიცხვო და სხვა დარგების 68 მუდმივი მაღალკვალიფიციური თანამშრომელი.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი” ასრულებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ძირითად საპროექტო სამუშაოებს. ინსტიტუტი წარმატებით უზრუნველყოფს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთ საავტომობილო

გზების და მასზე განლაგებული ყველა საინჟინრო, ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების (ხიდები, გვირაბების საყრდენი კედლები, სატრანსპორტო კვანძები, სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობები, სატრანსპორტო კომუნიკაციები) მშენებლობის კაპიტალური და საშუალო რემონტის განხორციელებას ყოველგვარი საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაციის (გენერალური გეგმები, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, სპეციალური შეწვალა, საინჟინრო პროექტი, ეკოლოგიური შეფასება, გეოლოგიური და გეოდეზიური ძიება, წინასაპროექტო შეფასება და დეტალური პროექტი, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება საერთაშორისო და ერუვნული კონკურსისათვის).

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი თავისი საკუთარი რესურსებით და გამოცდილი საინჟინრო გუნდით” ასრულებს:

საინჟინრო-სადიებო სამუშაოებს მშენებლობისათვის (იმ ტერიტორიების ჩათვლით სადაც განსაკუთრებით რთული გეოლოგიური და კლიმატური პირობებია - 7 ბალიანი და მეტი სეისმურობა, დენადი და რბილი გრუნტები)

#### 1. საინჟინრო-გეოდეზიური ძიება

- სადიებო-საპროექტო მიზნებისათვის 1:1000 – 1:2000 მასშტაბის ტოპოგრაფიული აგეგმვა;
- ხაზობრივი ტიპის საინჟინრო ნაგებობათა ტრასირება;
- საინჟინრო გეოლოგიური გამოწამუშევრების ნატურასთან მიზმის გეოდეზიური სამუშაოები;

#### 2. საინჟინრო გეოლოგიური ძიება

- რეკონოსცირება;
- საინჟინრო გეოლოგიური დაზვერვა და აგეგმვა;
- ბურღვის სამუშაოები;
- გეოფიზიკური სამუშაოები;
- გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევა;
- საცდელი-ფილტრაციული სამუშაოები და გრუნტების სავლე გამოცდა;

#### 3. საინჟინრო-ჰიდროლოგიური გამოკვლევები

-ჰიდროლოგიური სამუშაოები მდინარეებზე, ტბებსა და წყალსაცავებზე;

საპროექტო სამუშაოებს მშენებლობისათვის

(იმ ტერიტორიების ჩათვლით, სადაც განსაკუთრებით რთული გეოლოგიური და კლიმატური პირობებია - 7 ბალიანი და მეტი სეისმურობა, დენადი და რბილი გრუნტები)

#### 1. სატრანსპორტო ობიექტების დაპროექტება

- რკინიგზები (მიწის ვაკისის მოწყობა, ხიდები და გვირაბები);
- საავტომობილო გზები;
- აეროდრომები;
- ხიდები, გვირაბები და სხვა საინჟინრო ნაგებობები გზებზე;

#### 2. შენობა-ნაგებობების და კომპლექსების არქიტექტურა

- ობიექტების გენერალური გეგმები;
- საწარმოო დანიშნულების ობიექტები;
- სატრანსპორტო მშენებლობისა და კავშირგაბმულობის ობიექტები (ყველა ტექნიკური კატეგორიის გზები, გზაგამტარები);

#### 3. სამშენებლო გეგმარება და კონსტრუირება

- სამშენებლო კონსტრუქციები, კვანძები და დეტალები;
- სამირკვლები;

#### 4. საინჟინრო ქსელები და სისტემების გეგმარება

-გათბობა, ვენტილაცია და კონდიციონირება;

- ენერგომომარაგება;
- ელექტროგანათება;

#### 5. პროექტის სპეცილური ნაწილების დამუშავება

- გარემოს დაცვა

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- ხარჯთაღრიცხვები;
- ინვესტირების რენტაბელობა;

კომპანიის მეორე ძირითადი საქმიანობის შესახებ:

ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობა

შპს "საპროექტო-საკვლევამიეზო ინსტიტუტი" როგორც ქვეკონტრაქტორი, თავისი ძალებით და საშუალებებით ასრულებს Ø600, Ø800, Ø900 Ø1000, Ø1200 და Ø1500 მმ ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოების სრული მოცულობით.

სამუშაოები სრულდება დამკვეთთან (კერძო კომპანიებთან) გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

წინასწარ ხდება სამშენებლო ობიექტის დათვალიერება, პროექტისა და გეოლოგიური მასალების გაცნობა.

სახელშეკრულებო ფასი ინდივიდუალურია ყოველ ობიექტზე და დამოკიდებულია ხიმინჯის დიამეტრზე, სიღრმეზე, გეოლოგიურ პირობებზე, სამშენებლო ობიექტის ადგილმდებარეობაზე და სამშენებლო სამუშაოების მოცულობაზე.

საჭირო მანქანა დანადგარები და ინვენტარი

მშენებლობებზე რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები წარმოებს „Soilmec” ფირმის, მოდელი SR-60 საბურღი მანქანით, რომელსაც ემსახურება პერსონალი შემადგენლობით: ტექნიკური ინჟინერი, ერთი ოპერატორი მემანქანე და სამი ოპერატორის დამხმარე. მანქანა სატრანსპორტო მდგომარეობაში იწონის 56 ტონას.

საჭირო მანქანა-დანადგარების და ინვენტარის ტრანსპორტირება ხდება სამშენებლო მოედანზე, რომელიც განთავსდება დამკვეთის მიერ გამოყოფილ ადგილზე:

- საბურღი აგრეგატი Soilmec SR-60
- ტელესკოპური შტანგა
- მოსაწყობი ხიმინჯის დიამეტრის შესაბამისი დიამეტრის გრუნტის სამაგრი მილები
- მოსაწყობი ხიმინჯის დიამეტრის შესაბამისი დიამეტრის საბურღი შნეკი

- მოსაწყობი ხიმინჯის დიამეტრის შესაბამისი დიამეტრის საბურღი ციფხვი
- ბეტონის სასხმელი მილები

საბურღი მანქანის სატრანსპორტო მდგომარეობიდან მუშა მდგომარეობაში მოყვანის ეტაპები

- საბურღი მანქანის გადაადგილების მუხლუხა მექანიზმის სატრანსპორტო მდგომარეობაში ფიქსაციის ოთხი ადგილიდან გათავისუფლება, მუხლუხა მექანიზმის გახსნა გაბარიტული ზომიდან 3.0 მეტრი 4.5 მეტრზე და დაფიქსირება ოთხ ადგილზე მუშა მდგომარეობაში.
- საბურღი მანქანის ანძის სატრანსპორტო დამჭერებისაგან განთავისუფლება, დაწვენილ მდგომარეობაში ორი სახსრის გადამბა.
- საბურღი მანქანის ანძის წამოყენება

- როტორის შეერთება ჰიდრავლიკურ ცილინდრთან
- ტელესკოპური შტანგის მონტაჟი

ხიმინჯის მოწყობის ეტაპები

- ჭაბურღილის გაბურღვა
- ჭაბურღილში არმატურის კარკასის ჩაყენება
- ჭაბურღილის ბეტონირება
- გამოყენებული ინვენტარის მომსახურება

## 1. ჭაბურღილის გაბურღვა

1.1. საბურღი მანქანის გასაბურღ წერტილზე მიყვანა უნდა მოხდეს წინასწარ სათანადოდ მომზადებულ მოედანზე.

1.2. თითოეული ჭაბურღილის ბურღვა იწყება გასაბურღ წერტილზე დადგმული სამაგრი მილის კოორდინატების დამკვეთის მიერ შემოწმებისა და სამუშაოთა წარმოების ჟურნალში ჩანაწერის გაკეთების შემდეგ.

1.3. ჭაბურღილის ბურღვა მოხდება დამკვეთის მიერ მითითებულ სირღმეზე.

1.4. ჭაბურღილიდან ამოღებული გრუნტის დაყრა მოხდება საბურღი მანქანის კოშკურის ბრუნვის ზონაში.

1.5. არამდგრადი გრუნტების არსებობის შემთხვევაში, ბურღვა მოხდება გრუნტის სამაგრი მილების გამოყენებით, რომლებიც ერთმანეთზე იწყობა 4 მეტრიანი სექციებით, ხოლო პირველ მილზე დამონტაჟებულია სალი შენადნობის მასალისგან დამზადებული კბილებიანი გვირგვინა.

1.6. ბურღვის პროცესში საბურღი გრუნტის თვისებებიდან გამომდინარე გამოყენებული იქნება შესაბამისი ბურღვის ტექნოლოგია, მჭრელი ინსტრუმენტით აღჭურვილი შნეკი და ციცხვბურღი.

1.7. ბურღვის პროცესის დასრულების შემდეგ მოხდება ჭაბურღილის ძირის ამოწმენდა და დამკვეთის მიერ ჭაბურღილის ძირის მიღების შესახებ სათანადო ჩანაწერის გაკეთება სამუშაოთა წარმოების ჟურნალში.

## 2. ჭაბურღილში არმატურის კარკასის მოწყობა

2.1. არმატურის კარკასის პირველი სექცია საბურღი მანქანის ამწე მექანიზმით აიღება სამშენებლო მოედნიდან და ეშვება ჭაბურღილში.

2.2. გრუნტის სამაგრი მილში ხდება არმატურის კარკასის სექციის დაფიქსირება ფოლადის ღეროთი.

2.3. ჩაიხსნება ამწე მექანიზმი დაფიქსირებული კარკასიდან.

2.4. არმატურის კარკასის მომდევნო სექცია ყენდება სამაგრი მილში დაფიქსირებულ არმატურის კარკასის წინა სექციაზე.

2.5. არმატურის კარკასის სექციების შედუღების შემდეგ, ხდება საბურღი მანქანის ამწე მექანიზმით არმატურის კარკასის შედუღებული სექციების აწევა, სამაგრი მილში ფოლადის ღეროთი დაფიქსირებული არმატურის კარკასის სექციის ფოლადის ღეროსგან გათავისუფლება, რის შემდეგაც აწყობილი არმატურის კარკასი ეშვება ჭაბურღილში.

## 3. ჭაბურღილის ბეტონირება

3.1. ჭაბურღილის ბეტონირება ხდება ბეტონით, რომლის კონუსის ჯდენა უნდა იყოს არანაკლებ 22 სმ და მისი შეკვრის მაჩვენებელი უნდა გახანგრძლივდეს არანაკლებ 3 საათისა.

3.2. ბეტონის მიწოდება ჭაბურღილის ძირზე ხდება საბურღი მანქანის ამწე მექანიზმზე დაკიდებული, ჰერმეტიკულად აწყობილი, მიმღებ ძაბრიანი Ø250 მმ, 2, 3, და 4 მეტრი სიგრძის მქონე ბეტონის სასხმელი მილებით.

3.3 ბეტონის სასხმელი მილის სიგრძე დაახლოებით უტოლდება ჭაბურღილის სიგრძეს.

3.4. ბეტონირების დაწყებამდე ბეტონის სასხმელ მილში უნდა ჩაიდოს ერთჯერადი დიაფრაგმა (ბურთი) ბეტონის სასხმელ მილში წყლისა და ბეტონის გასაყოფად.

3.5. ჭაბურღილის ბეტონირების შემდეგ საბურღი მანქანის ამწე მექანიზმით ხდება ბეტონის სასხმელი მილების ჭაბურღილიდან ამოწევა.

3.6. ჭაბურღილიდან ამოსულ ბეტონს უნდა მოსცილდეს დეფექტური ფენა, მიახლოებით დაკორექტირდეს ბეტონის დონე ჭაბურღილში და ამოღებული იქნას ბეტონის სასხმელი და გრუნტის სამაგრი მილები.

#### 4. გამოყენებული ინვენტარის მომსახურება

დამკვეთის მიერ მოწოდებული წყალმომარაგების ქსელიდან სარეცხი მოწყობილობის საშუალებით ხდება ბეტონირების დროს გამოყენებული ინვენტარის გარეცხვა.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი” მუშაობს დირექტორის ტალი ტალიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც 40 წელზე მეტია, რაც მართავს ინსტიტუტს და მისი მენეჯმენტი საწინდარია ყველა იმ წარმატებისა, რაც მართავს ინსტიტუტს და მისი მენეჯმენტი საწინდარია ყველა იმ საერთაშორისო არენაზე.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი” 2015-2018 წლებში დაჯილდოვებულია ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგის კავშირის მიერ ორდენებით “დარგის ლიდერი” და მინიჭებული აქვს ეროვნული სერტიფიკატი “დარგის ლიდერი”.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი” აგრეთვე ახორციელებას ბურღვით სამუშაოებს, ნაბურღ-ნატენი ხმინჯების მოწყობას.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტს” გააჩნია გარდამავალი ხელშეკრულები 2019 წლიდან 2020 წლამდე და ინსტიტუტი ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე აგრძელებს თავის საქმიანობას როგორც საპროექტო აგრეთვე საბურღ საქმიანობებში.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი “ტრანსპროექტი”

დირექტორი:

3.3. ბეტონის სასხმელი მილის სიგრძე დაახლოებით უტოლდება ჭაბურღილის სიგრძეს.

3.4. ბეტონირების დაწყებამდე ბეტონის სასხმელ მილში უნდა ჩაიდოს ერთჯერადი დიაფრაგმა (ბურთი) ბეტონის სასხმელ მილში წყლისა და ბეტონის გასაყოფად.

3.5. ჭაბურღილის ბეტონირების შემდეგ საბურღი მანქანის აშწე მექანიზმით ხდება ბეტონის სასხმელი მილების ჭაბურღილიდან ამოწევა.

3.6. ჭაბურღილიდან ამოსულ ბეტონს უნდა მოსცილდეს დეფექტური ფენა, მიახლოებით დაკორექტირდეს ბეტონის დონე ჭაბურღილში და ამოღებული იქნას ბეტონის სასხმელი და გრუნტის სამაგრი მილები.

#### 4. გამოყენებული ინვენტარის მომსახურება

დამკვეთის მიერ მოწოდებული წყალმომარაგების ქსელიდან სარეცხი მოწყობილობის საშუალებით ხდება ბეტონირების დროს გამოყენებული ინვენტარის გარეცხვა.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი "ტრანსპროექტი" მუშაობს დირექტორის ტალი ტალიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც 40 წელზე მეტია, რაც მართავს ინსტიტუტს და მისი მენეჯმენტი საწინდარია ყველა იმ წარმატებისა, რაც მართავს ინსტიტუტს და მისი მენეჯმენტი საწინდარია ყველა იმ საერთაშორისო არენაზე.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი "ტრანსპროექტი" 2015-2018

წლებში დაჯილდოვებულია ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგის კავშირის მიერ ორდენებით "დარგის ლიდერი" და მინიჭებული აქვს ეროვნული სერტიფიკატი "დარგის ლიდერი".

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი "ტრანსპროექტი" აგრეთვე ახორციელებს ბურღვით სამუშაოებს, ნაბურღ-ნატენი ხმინჯების მოწყობას.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი "ტრანსპროექტს" გააჩნია გარდამავალი ხელშეკრულები 2019 წლიდან 2020 წლამდე და ინსტიტუტი ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე აგრძელებს თავის საქმიანობას როგორც საპროექტო აგრეთვე საბურღ საქმიანობებში.

შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი "ტრანსპროექტი"



